



ოქმი:ო37.37210391

თარიღი:08/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვ. ჩიგოგიძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი**

2021წელი, 08.02

ქ. ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ. ღურჯუმიანი-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ტ. არაძიძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე ვ. ჩიგოგიძე, მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რომელიც განხორციელდება ონლაინ რეჟიმში, განაცხადა, რომ ვ. ჩიგოგიძე არის საკრებულოს პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ვ. ჩიგოგიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 - ემუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლებისა და მის მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ვ. ჩიგოგიძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის მომავალ კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარების ნაწილში. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ტ. არაძიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებულ წინადადებებზე: მუნიციპალიტეტში აკადემიური ფოლკლორული ანსამბლის შექმნა, თეატრის წინ არსებული მოედნისთვის ისტორიული სახელის დაბრუნება და იქ სარეკლამო ეკრანის განთავსება, სააფიშო სტენდების განთავსება მგზავრთა მოსაცდელეებში, ოზურგეთის მუნიციპალური რადიოსა და რადიოთეატრის შექმნა და სხვა. აღნიშნა, რომ ვ. ჩიგოგიძის ანგარიში გასცდა

ჩვეულებრივი ანგარიშის ფორმატს, ბევრი საინტერესო წინადადებები იყო მუნიციპალიტეტის მომავალ განვითარებაზე, წარმოდგენილი ანგარიში შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე გ. ლურჯუმელიძე და აღნიშნა, რომ სასიამოვნოა, როცა საკრებულოს წევრზე ისმენს კოლეგების პოზიტიურ შეფასებებს, ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის გ. ლურჯუმელიძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

გიორგი ლურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

